საქართველო
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა
ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგეობა

6200 ქ. ქობულეთი, დავით აღმაშენებლის გამზირი #141
ტელ-ფაქსი: 6-72-09

№ 01-40/3036 „25" ნოემბერი 2011 წელი

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარეს
ბატონ ტატო ურჯუმელაშვილს

ბატონო ტატო,

გაცნობებთ, რომ სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის საშუალებით, ქობულეთის მუნიციპალიტეტის მიერ 2011 წლის 11 ნოემბერს გამოცხადებულ №206 კონკურსში (დაბა ჩაქვში ცენტრალური პარკის მოწყობის სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების შესყიდვა) საკონკურსო კომისიის მიერ დადგენილ ვადაში არცერთ მიმწოდებელს არ წარმოუდგენია საკონკურსო წინადადება. ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილებით ზემოთაღნიშნულ კონკურსს მიენიჭა სტატუსი – „არ შედგა" (იხ. დანართი).

ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე, გთხოვთ უზრუნველყოთ №206 საკონკურსო განცხადებისათვის სტატუსის – „არ შედგა" მინიჭება.

დანართი: 2 (ორი) ფურცელი.

ღრმა პატივისცემით,
საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე
მუნიციპალიტეტის გამგებელი — გელა ცხომელიძე

დაბა ჩაქვში ცენტრალური პარკის მოწყობის სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის შესყიდვის მიზნით შექმნილი ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკონკურსო კომისიის სხდომის

ოქმი №2

ქ. ქობულეთი 25 ნოემბერი 2011 წელი

სხდომას ესწრებოდნენ:

- გელა ცხომელიძე - ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგებელი - კომისიის თავმჯდომარე;
- სულხან მოწყობილი - ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილე - კომისიის თავმჯდომარის მოადგილე;
- რევაზ ხარაზი - ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილე - კომისიის წევრი;
- ქეთინო ხარაზი - ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის იურიდიული სამსახურის უფროსი - კომისიის წევრი;
- ბადრი რომანაძე - ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის არქიტექტურული და სივრცითი მოწყობის სამსახურის უფროსი – კომისიის წევრი;
- დავით ბოლქვაძე - ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკის, ინფრასტრუქტურის და საინვესტიციო განვითარების სამსახურის უფროსი - კომისიის წევრი;
- დავით ნოღაიდელი - ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის იურიდიული სამსახურის სახელმწიფო შესყიდვების განყოფილების უფროსი - კომისიის წევრი;
- ნათია ბასიაშვილი - ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის არქიტექტურული და სივრცითი მოწყობის სამსახურის წამყვანი სპეციალისტი მშენებლობის ნებართვებისა და ლეგალიზების საკითხებში - კომისიის აპარატის წევრი;
- გურამ მყავანაძე - ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკის, ინფრასტრუქტურის და საინვესტიციო განვითარების სამსახურის, ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის განყოფილების უფროსი - კომისიის აპარატის წევრი.

სხდომის დღის წესრიგი:

ქობულეთის მუნიციპალიტეტის მიერ 2011 წლის 11 ნოემბერს გამოცხადებული №206 კონკურსის სტატუსის განსაზღვრა, რომელიც შეეხება დაბა ჩაქვში ცენტრალური პარკის მოწყობის სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების შესყიდვას.

მოისმინეს: საკონკურსო კომისიის წევრის დავით ნოღაიდელის გამოსვლა, რომელმაც კომისიას მიაწოდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ქობულეთის მუნიციპალიტეტის მიერ, ერთიანი ელექტრონული სისტემის საშუალებით, ქობულეთის მუნიციპალიტეტის მიერ 2011 წლის 11 ნოემბერს გამოცხადებული №206 კონკურსში (***წინადადების მიღების დასრულების თარიღი 18.11.2011 წელი, 12:00სთ)*** დადგენილ ვადაში არცერთ მიმწოდებელს არ წარმოუდგენია საკონკურსო წინადადება.

კომისიამ დაადგინა:

1. ჭიბულეთის მუნიციპალიტეტის მიერ 2011 წლის 11 ნოემბერს გამოცხადებულ №206 კონკურს მიენიჭოს სტატუსი – კონკურსი არ შედგა.

2. უზრუნველყოს კომისიის აპარატმა, დადგენილი წესის შესაბამისად, კომისიის სხდომის ოქმის ხელმოწერის შემდეგ, მისი სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში დასკანერებული სახით წარდგენა (სააგენტოს ელექტრონული ფოსტა contest@procurement.gov.ge) საკონკურსო განცხადების სტატუსის განსაზღვრის მიზნით.

კომისიის თავმჯდომარე	გელა ცხომელიძე
კომისიის თავმჯდომარის მოადგილე	სულხან მოწყობილი
კომისიის წევრი:	რევაზ ხარაზი
	ქეთინო ხარაზი
	ბადრი რომანაძე
	დავით ბოლქვაძე
	დავით ნოღაიდელი
კომისიის აპარატის წევრი:	ნათია ბასიაშვილი
	გურამ მჟავანაძე